საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA

MIA 2 23 01406939

18/05/2023

მოქალაქე ანა აბაშიძეს

ელექტრონული ფოსტის მისამართი:
foi+request-2675-7021f510@askgov.ge

ქალბატონო ანა,

2023 წლის №1378591 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს №219 დადგენილებისა და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში ზოგიერთი სტატისტიკური მონაცემების წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 9 ივლისის № 1/271 ბრძანების თანახმად, სამინისტრო, აღრიცხვიანობისა და კომპეტენციის ფარგლებში ამუშავებს ოფიციალურ ვებგვერდზე (info.police.ge) პროაქტიულად გამოსაქვეყნებელ ზოგიერთ მონაცემებს/სტატისტიკებს, რომლის გამოქვეყნებაც ხდება პერიოდულად.

ამასთან გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წერილით მოთხოვნილი პარამეტრების მიხედვით ინფორმაციის დამუშავება საჭიროებს არაგონივრულ/არაპროპორციულ ძალისხმევას, რაც შეუსაბამოა სამინისტროში არსებულ ადამიანურ რესურსთან.

დამატებით მოგახსენებთ, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს საჯარო ინფორმაციის გაცემა ეკისრება, თუ აღნიშნულ საჯარო ინფორმაციას გააჩნია მატერიალური ხასიათი, კანონით დადგენილი წესით არის დამუშავებული და დაცულია საჯარო დაწესებულებაში. ამასთანავე, თქვენ მიერ მოთხოვნილი სახით საჯარო ინფორმაციის მოძიებისა და შექმნის ვალდებულება უნდა გააჩნდეს საჯარო დაწესებულებას. მოცემულ შემთხვევაში, მოთხოვნილი სახით ინფორმაცია სამინისტროში არ არის დაცული. ამასთან, სამინისტროს აღნიშნული ინფორმაციის მოთხოვნილი სახით დამუშავება-შენახვის ვალდებულება რაიმე სამართლებრივი აქტით არ ევალება.

0114, თბილისი, გულუას ქ.10 ტელ.: (+995 32) 2411068 / ფაქსი: (995 32) 2411005
10, G.Gulua str, Tbilisi 0114, Georgia, Tel.: (+995 32) 2411008 / Fax: (+995 32) 2411005
www.police.ge; e-mail: police@mia.gov.ge

პატივისცემით,

ქეთევან ტყეშელაშვილი
ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსი